

„ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

„ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31/12/2024 ლარი	31/12/2023 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,203,155	1,382,508
სხვა გრძელვადიანი ძირითადი საშუალებები		406,875	529,083
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,610,031	1,911,591
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მარაგები		152,319	1,372,036
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	706,561	430,493
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		72,857	223,614
სულ მოკლევადიანი აქტივები		931,736	2,026,144
სულ აქტივები		2,541,767	3,937,735
ვალდებულებები			
სესხები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	6	3,227,820	3,165,424
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,227,820	3,165,424
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	208,332	1,759,637
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		208,332	1,759,637
სულ ვალდებულებები		3,436,152	4,925,061
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,404,101	676,555
გაუნაწილებელი მოგება		(3,298,486)	(1,663,881)
სულ საკუთარი კაპიტალი		(894,385)	(987,326)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,541,767	3,937,735

ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი-ის
დირექტორი რამიზ შარიფოვ _____

„ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი“
მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2024 ლარი	2023 ლარი
ამონაგები	8	6,044,513	223,066
ამონაგების თვითღირებულება		(3,113,343)	(222,790)
საერთო მოგება		2,931,170	276
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(3,965,815)	(2,143,454)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	10	(599,960)	479,297
მოგება დაბეგვრამდე		(1,634,605)	(1,663,881)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(1,634,605)	(1,663,881)

ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი-ის
დირექტორი რამიზ შარიფოვ _____

„ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი-ის“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 01.01.2023	-	-	-
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში პერიოდის მოგება/(ზარალი)	676,555 -	- (1,663,881)	676,555 (1,663,881)
ნაშთი - 31.12.2023	676,555	(1,663,881)	(987,326)
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში პერიოდის მოგება/(ზარალი)	1,727,546	- (1,634,605)	1,727,546 (1,634,605)
ნაშთი - 31.12.2024	2,404,101	(3,298,486)	(894,385)

ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი-ის
დირექტორი რამიზ შარიფოვ _____

„ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი-ის“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

„ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი“ წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 09/01/2023). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვახტანგ ბოჭორიშვილის ქუჩა, N37ბ, ფართი 256ა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო პროექტების შემუშავება.

კომპანიის დირექტორი: რამიზ შარიფოვ, C01551430.

კომპანიის მესაკუთრე: 100% - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ, 1404246751 (აზერბაიჯანი)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარი / ლარი	2.8068	2.6894
ევრო / ლარი	2.9306	2.9753

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 10-30%
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა - 10-30%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. ცვლილებები წარდგენაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია შესადარისი პერიოდების 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარკვეული უზუსტობები, რის გამოც დაკორექტირებულია ზოგიერთი მუხლი. ამასთან კორექტირებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მუხლების რეკლასიფიკაცია. აღნიშნული ცვლილებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

	თავდაპირველი წარდგენა 31/12/2023	წინა წლის მონაცემების კორექტირება 31/12/2023
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,393,921	11,413
სასაქონლო მარაგები	1,362,575	(9,461)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	834,932	404,439
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	219,614	(4,000)
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2673693	914,056
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	159,535	(517,020)
გაუნაწილებელი მოგება	(1,658,527)	5,354

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

ოფისის აღჭურვილობა, დანადგარები, ავეჯი და სხვა ინვენტარი		სულ
ბალანსი 01/01/2023	-	-
შემოსვლა 2023	1,534,933	1,534,933
ცვეთა პერიოდისათვის 2023	(152,425)	(152,425)
გასვლა 2023	-	-
ბალანსი 31/12/2023	1,382,508	1,382,508
შემოსვლა 2024	143,524	143,524
ცვეთა პერიოდისათვის 2024	(322,876)	(322,876)
გასვლა 2024	-	-
ბალანსი 31/12/2024	1,203,155	1,203,155

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
	ლარი	ლარი
გადახდილი ავანსები	562,923	254,833
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	117,171
სხვა მოთხოვნები	143,637	58,489
სულ	706,561	430,493

6. სესხები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

	2024	2023
	ლარი	ლარი
სესხი	3,227,820	3,165,424
სულ	3,227,820	3,165,424

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023
	ლარი	ლარი
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	155,799	917,143
საგადასახადო ვალდებულებები	-	53,386
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	52,533	789,108
სულ	208,332	1,759,637

8. ამონაგები

	2024	2023
	ლარი	ლარი
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	6,044,513	223,066
სულ	6,044,513	223,066

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2,038,727)	(1,003,599)
ცვეთა და ამორტიზაცია	(445,084)	(236,054)
იჯარის ხარჯი	(195,661)	(97,443)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(1,286,342)	(806,360)
სულ	(3,965,815)	(2,143,454)

10. არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

	2024	2023
	ლარი	ლარი
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(122,461)	(135,020)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(477,499)	614,316
სულ	(599,960)	479,297

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (29.09.2025) კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2025 წლის 29 სექტემბერს.

ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი-ის
დირექტორი რამიზ შარიფოვ _____

„ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31/12/2024 ლარი	31/12/2023 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,203,155	1,382,508
სხვა გრძელვადიანი ძირითადი საშუალებები		406,875	529,083
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,610,031	1,911,591
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მარაგები		152,319	1,372,036
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	706,561	430,493
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		72,857	223,614
სულ მოკლევადიანი აქტივები		931,736	2,026,144
სულ აქტივები		2,541,767	3,937,735
ვალდებულებები			
სესხები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	6	3,227,820	3,165,424
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,227,820	3,165,424
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	208,332	1,759,637
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		208,332	1,759,637
სულ ვალდებულებები		3,436,152	4,925,061
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,404,101	676,555
გაუნაწილებელი მოგება		(3,298,486)	(1,663,881)
სულ საკუთარი კაპიტალი		(894,385)	(987,326)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,541,767	3,937,735


ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი-ის
დირექტორი რამიზ შარიფოვ

 Ramiz Sharifov

„ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი“
მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2024 ლარი	2023 ლარი
ამონაგები	8	6,044,513	223,066
ამონაგების თვითღირებულება		(3,113,343)	(222,790)
საერთო მოგება		2,931,170	276
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(3,965,815)	(2,143,454)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	10	(599,960)	479,297
მოგება დაბეგვრამდე		(1,634,605)	(1,663,881)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(1,634,605)	(1,663,881)


ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალის
დირექტორი რამიზ შარიფოვ

 Ramiz Sharifov

„ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი-ის“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 01.01.2023	-	-	-
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში პერიოდის მოგება/(ზარალი)	676,555 -	- (1,663,881)	676,555 (1,663,881)
ნაშთი - 31.12.2023	676,555	(1,663,881)	(987,326)
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში პერიოდის მოგება/(ზარალი)	1,727,546 -	- (1,634,605)	1,727,546 (1,634,605)
ნაშთი - 31.12.2024	2,404,101	(3,298,486)	(894,385)

ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი-ის
დირექტორი რამიზ შარიფოვ



Ramiz Sharifov

10. არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	2024 ლარი	2023 ლარი
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(122,461)	(135,020)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(477,499)	614,316
სულ	(599,960)	479,297

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (29.09.2025) კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2025 წლის 29 სექტემბერს.

ტელეკომ მედია ინტერნეიშნალ საქართველოს ფილიალი-ის
დირექტორი რამიზ შარიფოვ _____

Ramiz Sharifov